ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37220961**

თარიღი:**06/04/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,ნ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „ ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის 2-ე პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ თანახმად დანართისა.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

3. ბრძანების ამოქმედების თანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2021 წლის 22 მარტის N ბ37.37210812 ბრძანება „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“

4.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი